სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

10 / აპრილი / 2024 წ.

KA020119826372024

№ **316/ს**

ბრძანება შპს „New Road“_ზე (ს/ნ 441993112) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1101 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის ათვისების გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, „შპს „ნიუ ტრანს როუდი“_ზე (ს/ნ 405483846) გაცემული №1023 ლიცენზია-ბრძანების ნაწილის შპს „New Road“-ზე (ს/ნ 441993112) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე“ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 21 მარტის №1101 ლიცენზია - ბრძანების და შპს „New Road“_ის ((ID: 141865, შტრიხკოდი: 2924490, 22.03.2024წ.) სააგენტოში შემოსვლის №2851, 22.03.2024წ.) განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ეწერისა და ბაშის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, შპს „New Road“-ზე (ს/ნ 441993112) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების № 1101 ლიცენზია - ბრძანებით გათვალისწინებული წიაღისეულის: ქვიშა-ხრეშის ათვისების გეგმა მოცემული ცხრილის შესაბამისად:

წელი	**ასათვისებელი რესურსის ოდენობა მ3**
2024	**29524**
2025	**32208**
2026	**32208**
2027	**32208**
2028	**32208**
2029 წლის 3 თებერვლამდე	**2684**

2. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს;

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2).

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150

ტელ: 0 32 2 95 00 30

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ანდრო ასლანიშვილი